დედანთან გადამოწმებულია ობიექტის ტექნიკურ სამსახურში 10.08.2022წ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11ც1001-22
"25" 07 2022 წ.

დადგენილება №001930
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

25.07.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა ჯაყელმა, განვიხილე 2022 წლის 01 მარტის №001930 მითითება და 2022 წლის 25 მარტის №001930 შემოწმების აქტი, შედგენილი შპს „გაბილისი"-ს (საიდენტიფიკაციო №404541885; მის.: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა №117), მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047, №01.14.16.014.074 საკადასტრო კოდზე, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის განცხადებების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განხორციელდა არქიტექტურული პროექტით შეთანხმებული ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განშლის რეგისტრაცია, კერძოდ №01.14.16.014.074 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე შენობა-ნაგებობა, რომლის არქიტექტურული პროექტიც შეთანხმდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792744 ბრძანებით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნით, დაიყო 9 დამოუკიდებელ ფართად (№01.14.16.014.074.01.03.001 ს/კ; №01.14.16.014.074.01.03.002 ს/კ; №01.14.16.014.074.01.01.002 ს/კ; №01.14.16.014.074.01.01.002ა ს/კ; №01.14.16.014.074.01.01.001 ს/კ; №01.14.16.014.074.01.01.001ა ს/კ; №01.14.16.014.074.01.02.503 ს/კ; №01.14.16.014.074.01.02.502 ს/კ; №01.14.16.014.074.01.02.501 ს/კ) შესაბამისად, სახეზეა ობიექტის ფუნქციური ცვლილება, რაც საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს მე-3 მუხლის ჰ[18] პუნქტის თანახმად, წარმოადგენს უნებართვო მშენებლობას.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2022 წლის 1 მარტს, შედგა №001930 მითითება, რომლითაც განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2022 წლის 25 მარტს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა №001930 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2022 წლის 5 მაისს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე გამოცხადდა შპს „გაბილისი"-ს დირექტორი – მოქ. ალექსანდრე ღლონტი (პირადი №01024025633), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარემ განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის მიერ განშლა განხორციელდა მისი განცხადების საფუძველზე და მანვე განმარტა, რომ სამშენებლო სამუშაოებიც განხორციელდა მის მიერ. მხარემ განაცხადა, რომ სურს სამართალდარღვევის აღმოფხვრა რისთვისაც ითხოვა მაქსიმალური ვადა.

საქმეშია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის, 2022 წლის 25 მაისის №4-3/92-გ/22 ბრძანება, რომლითაც შპს „გაბილისი"-ს მიმართ დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, დადგენილების მიღების ვადა გაგრძელდა 2 თვით. დადგენილების მიღებისთვის გაგრძელებული ორთვიანი ვადა აითვალა 2022 წლის 25 მაისიდან 2022 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

2022 წლის 25 ივლისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ შპს „გაბილისი"-ს მიერ კვლავ არ იქნა შესრულებული 2022 წლის 01 მარტის №001930 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ №01.14.16.014.074 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე შენობა-ნაგებობა დაყოფილია 6 დამოუკიდებელ ფართად (№01.14.16.014.074.01.01.500 ს/კ; №01.14.16.014.074.01.01.501 ს/კ; №01.14.16.014.074.01.02.505 ს/კ; №01.14.16.014.074.01.02.506 ს/კ; №01.14.16.014.074.01.03.001 ს/კ; №01.14.16.014.074.01.03.002 ს/კ). საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „გაბილისი"- მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევა კერძოდ: ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047, №01.14.16.014.074 საკადასტრო კოდზე, მესაკუთრის განცხადებების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა არქიტექტურული პროექტით შეთანხმებული ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განშლის რეგისტრაცია, კერძოდ ზემოაღნიშნულ საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე შენობა-ნაგებობა, რომლის არქიტექტურული პროექტიც შეთანხმდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792744 ბრძანებით, მესაკუთრის მოთხოვნით დაიყო ფართებად, შესაბამისად, სახეზეა ობიექტის ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, რაც საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს მე-3 მუხლის ჰ[18] ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს უნებართვო მშენებლობას.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი ნაწილით, 122-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 128-ე მუხლის მესამე ნაწილით, 131-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და **დავადგინე:**

1. **შპს „გაბილისი"** დაჯარიმდეს 20 000 (ოცი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047, ობიექტის ფუნქციური დანიშნულების ცვლილების განხორციელებისთვის, რაც საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს მე-3 მუხლის ჰ[18] ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს უნებართვო მშენებლობას;

2. **შპს „გაბილისი"-ს** დაევალოს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს „გაბილისი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — **მამუკა ჯაფელი**